დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №04-99, 07.10.2019
დანართი №1

სსიპ ,, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ''

,,აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში''

ქ. მცხეთა

2019 წელი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

ეს დებულება არეგულირებს სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში'' (შემდგომში - დაწესებულება) კონკურსის წესით აპლიკანტთა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რალურ სამუშაო გარემოში (შემდგომში -პროფესიული საგნანმანათლებლო პროგრამა).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისთის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. საკონკურსო კომისია - დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია წარმართოს სტუდენტთა შერჩევის პროცესი და მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის შესახებ;

2. შერჩევის ადმინისტრატორი - დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი, რომელიც უზრუნველყოფს შერჩევის პროცესის კოორდინაციასა და მონიტორინგს;

3. აპლიკანტი-პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ დაშვების წინაპირობებს, პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია ამ დებულებით დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის წინაპირობა

კოლეჯის მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილების უფლება აქვს სსიპ -განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტებს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის

N152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,პროფესიული ტესტიერების ჩატარების დებულებისა'' და ამ დებულების შესაბამისად.

2. საკონკურო კომისია იქმნება დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით;

3. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) დამსაქმებელი ორგანიზაციის/ორგანიზაციების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

ბ) შესაბამისი პროგრამის პროფესიული მასწავლებელი;

გ) პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი;

4. კომისიის თავჯდომარედ განისაზღვრება იმ დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი სადაც გარხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რეალური სამუშაო გარემოში სწავლება.

5.საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში რამდენიმე დამსაქმებლის არსებობის შემთხვევაში, დამსაქმებელი თავად ირჩევენ კომისიის თავჯდომარეს.

6. კომისიის წევრები უშუალოდ ესწრებიან გასაუბრებას, სვავენ წინასწარ მომზადებულ შეკითხვებს, აფასებენ აპლიკანტის პასუხებს წინასწარ მომზადებული შეფასების სქემების მიხედვით.

7. კომისია უფლებამოსილია, თუ კონკურსს ესწრება საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შემავალი არანაკლებ სამი წევრი:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე დამსაქმებელი ორგანიზაციის /ორგანიზაციების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

ბ) შესაბამისი პროგრამის პროფესიული მასწავლებელი;

გ) პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი;

მუხლი 5. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და წესი

1. კომისიის წევრები აპლიკანტებს აფასებენ, წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით ;

2. აპლიკანტის მიერ მიღებული ქულის/ქულების გათვალისწინების საფუძველზე დგება რანჟირების სია;

3. ჩასარიცხად გამოცხადებული ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით ხდება ჩარიცხული სტუდენტების იდენტიფიცირება;

4. რანჟირებული სიის თანმიმდევრობით აპლიკანტები თავად ირჩევენ მათთვის სასურველ პროფესიულ საგნამანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დამსაქმებელ ორგანიზაციას;

5. იმ შემთხვევაში, თუ თანაბარი ქულების მქონე აპლიკანტებს სურთ ერთ კონკრეტულ ორგანიზაციაში პრაქტიკული კომპონენტის ათვისება, ხოლო თავად ამ დამსაქმებელტან ადგილები შეზღუდულია, დამსაქმებელი თავად ირჩევს მისთვის სასურველ აპლიკანტს.

მუხლი 6. კონკურსის ორი კომპონენტი

შესარჩევი კონკურსი ორეტაპიანია:

1. აპლიკანტების მიერ წერილობითი დავალების შესრულება;

2. აპლიკანტის მიერ საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება.

მუხლი 7. კონკურსის პროცედურა

1. შერჩევის ადმინისტრატორი კომისიის წევრებს უთანხმებს შერჩევის დროსა და თარიღებს.

2. შერჩევის ადმინისტრატორი ადგენს იმ აპლიკანტთა სიას, რომლებმაც რეგისტრაცია გაიარეს პროფესიულ საგნმანათლებლო პროგრამაზე და აღრიცხავს (სიაში აღნიშნავს),გამოცხადდა თუ არა აპლიკანტი კონკურსის ეტაპზე.

3. დაწესებულება გამოყოფს ორ იზოლირებულ ოთახს გასაუბრებისა და აპლიკანტთა მიერ წერილობითი დავალების შესასრულებლად.

4. შერჩევის ადმინისტრატორი აწვდის ინფორმაციას აპლიკანტებს გასაუბრების დროსა და ადგილის, გასაუბრების პროცესის და მიზნების შესახებ;

5. შერჩევის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს, რომ თითოეულმა აპლიკანტმა მიიღოს მისთვის განსაკუთრებული წერილობითი დავალება.

6. შერჩევის ადმინისტრატორი წერილობითი დავალების ფურცელს აწერს აპლიკანტის სახელს და გვარს.

7. აპლიკანტს გასაუბრებამდე გამოეყოფა 45 წუთი ბუკლეტის შესავსებად.

8. შესრულებული წერილობითი დავალება ბარდება შერცევის ადმინისტრატორს.

მუხლი 8. კონკურსის მიმდინარეობა

1. კონკურსი მიმდინარეობს დაწესებულების მიერ დადგენილი პროცედურებით.

2. შერჩევის ადმინისტრატორი ვალდებულია ყურადღებითა დევნოს თვალი აპლიკანტის მუსაობის პროცესს.

3. დაუშვებელია აპლიკანტის მიერ მობილური ტელეფონის გამოყენება ან ჩართულ მდგომარეობაში ქონა წერილობითი დავალების შევსების პროცესში.

4. აპლიკანტს ოთახის დატოვება შეუძლია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, დაწესებულების წარმომადგენლის თანხლებით.

მუხლი 9. კონკურის შედეგები

1. კონკურსის შედეგები აისახება გასაუბრების ოქმში.

2. გასაუბრების ოქმს თან ახლავს თითოეული აპლიკანტის წერილობითი დავალება, რომლის ელექტრონული ფორმა ეგზავნება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას ტესტირების დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუსაო დღით ადრე.

მუხლი 10. კონკურსში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობები

1. აპლიანტი უფლებამოსილია ფლობდეს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების თაობაზე.

2. კონკურსში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს გასაუბრებაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. კონკურსზე გამოუცხადებლობა აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს კონკურსის სხვა დღეს ჩატარება გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად.

მუხლი 11. კოლეჯის მიერ ორგანიზებული კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი

1. კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.

2. კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საპრეტენზიო კომისიას შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.

3. კონკურსის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, აპლიკანტმა საპრეტენზიო კომისიას უნდა მიმართოს მეორე სამუშაო დღეს.

4. საპრეტენზიო კომისიის მიერ მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ ვადებში წარდგენილი განცხადება განხილული უნდა იქნას მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 1 დღის ვადაში.

5. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს კომისიის ის წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა კონკურსში აპლიკანტის გასაუბრებაზე.

6. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.

7. საპრეტენზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

8. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერეს კომისიის ყველა წევრი. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აისახება კომისიის სხდომის ოქმში.